

კიტრის მოვლა-მოყვანის მოკლე ცნობარი

ნიადაგის დამუშავება

აღმოსავლეთ საქართველოში ნიადაგი უნდა მოიხნას შემოდგომაზე, დასავლეთ საქართველოში ადრე გაზაფხულზე. მოხვნის სიღრმე 30-35 სმ.



ნიადაგის გაფხვიერება

ნიადაგის გაფხვიერება დაფარცხვას მიამართავენ აპრილში, გამოიყენება დისკებიანი კულტივატორი, კბილებიანი ფარცხი ან დანებიანი კულტივატორი.

თესვა და ჩითილების გამოყვანა

აპრილის პირველ ან მეორე დეკადაში ითესება ერთჯერად ჭიქებში ან სპეციალურ კასეტებში, კასეტებში იყრება ნეიტრალური რეაქციის მქონე ტორფის სუბსტრატი და აგრო პერლიტის ნაზავი, კიტრის მცენარის თესვები ითესება 2-3 სმ სიღრმეზე. ჩითილები უნდა გამოვიყვანოთ საჩითილებში რომ დაცული იყოს ტემპერატურული რეჟიმი. კიტრი შეიძლება მოვიყვანოთ პირდაპირ ღია გრუნტში დათესვით. ღია გრუნტში ითესება აპრილი, მაისის, ივლისის და აგვისტოს თვეებში. თესვის ნორმა 4-8 კგ/ჰა, თესვის სიღრმე 3-5 სმ.

ჩითილების მოვლა

მოიცავს მორწყვას, დაცვას დაბალი ტემპერატურების ზემოქმედებისაგან, დაცვას მავნებლებისაგან - მახრები, ჭიჭინობელა და სხვა. მავნებლების წინააღმდეგ გამოიყენება - ფორსი, პირინექს სუპერი, პრიბანი, დურსბანი და სხვა მათი ანალოგები. ფესვის სიდამპლის საწინააღმდეგოდ გამოიყენება - პრევიკურ ენერჯი, პროპაკური, აპრონ XL ან სხვა მათი ანალოგები.

ჩითილების გადარგვა

გადარგვა ხდება აპრილის ბოლოს მაისის დასაწყისში, ამ დროს ჩითილები არიან 12-15 სმ სიმაღლის, 20-25 დღის ასაკის. მცენარეთა გადარგვა ხდება ტენიან ნადაგში, მწკრივად დარგვისას მწკრივებს შორის მანძილი განსხვავებულია ჯიშების მიხედვით. მწკრივებს შორის მანძილი 90-100 სმ. გრძელბარდიანი ჯიშებისათვის, მოკლებარდიანი ჯიშებისათვის 70 სმ. მცენარეებს შორის 15-20 სმ.

მცენარეთა მორწყვა

გადარგული მცენარეები ირწყვება 3-5 დღეში ერთხელ (კლიმატური პირობებისა და საჭიროების მიხედვით). მთელი ვეგეტაციის მანძილზე მათიდან სექტემბრის ჩათვლით პერიოდში ირწყვება 15-25-ჯერ.

სარეველების მოცილება და ნიადაგის გაფხვიერება

გადარგვიდან ორი კვირის შემდეგ ივნისის დასაწყისში მიმართავენ რიგთაშორისების პირველ გაფხვიერებას და სარეველათა მოცილებას. ამავე დროს ტარდება მცენარეთა დამატებითი გამოკვება მინერალური და ორგანული სასუქებით ნიადაგის ქიმიური ანალიზის შედეგებიდან გამომდინარე. ნიადაგის გაფხვიერება შესაძლებელია დაგვჭირდეს 2-3 ჯერ.

მცენარეთა დაცვა

მცენარეთა დაცვა მავნებლებისა და დაავადებებისაგან საჭიროა მთელი ვეგეტაციის მანძილზე. ფუნგიციდებიდან გამოიყენება: რიდომილ გოლდ მც, აკრობატ მც, კუპროქსატი, კუპერვალი, ანტრაკოლი ან სხვა მათი ანალოგები, ინსექტიციდებიდან გამოიყენება აქტარა, კონფიდორ მაქსი, სპინტორი, კრალი და სხვა მათი ანალოგები.

მოსავლის აღება

მოსავლის აღება მიმდინარეობს ივნისიდან სექტემბრის ჩათვლით მოსავლიანობა 50-60 ტონა ჰექტარზე.